საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN4

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

28 თებერვალი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9. რუსუდან კოვზირიძე;
სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 9 წევრი.
კვორუმი: 5 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ამბერკი დოლაკიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები:მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი

- დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად დაეწერა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის კახა ბუცხრიკიძის განცხადება (N29-29220592,28.02.2022), რომელიც აცნობებს საკრებულოს წევრის ამბერკი დოლაკიძის

გარდაცვალების დღეს. აღნიშნული ფაქტი არის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

აზრი გამოთქვეს: აზრი არავის გამოუთქვავს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი 0

გადაწყვიტეს: იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა და საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას ცნობის სახით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე:

განკარგულება

პროექტი

ამბერკი დოლაკიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ზ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N 7 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ზ"ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტების, ფრაქცია,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"თავმჯდომარის განცხადების (N 29-29220592, 28.02.2022) და იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 28 თებერვლის N1 დასვნის საფუძველზე, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული და ვადამდე შეუწყდეს **ამბერკი დოლაკიძეს** საკრებულოს წევრის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო.

მუხლი 2. ამბერკი დოლაკიძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თარიღად განისაზღვროს მისი გარდაცვალების მომდევნო დღე-2022 წლის 22 თებერვალი.

მუხლი 3. განკარგულება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.